გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 205

2023 წლის 10 ნოემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილი, რომელსაც თან ერთვის სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი დუგლაძის მიმდინარე წლის 19 ოქტომბრის N5/56858 წერილი, რომელიც შეეხება უძრავი ქონების, ს/კ 66.50.07.336, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხს.

სააგენტოს წერილს თან ერთვის ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 2023 წლის 18 ოქტომბრის N1000395 8 23 01104218 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ იმ შემთხვევაში თუ მოხდება სოფლის ამბულატორიების გადმოცემა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ,,სოფლის ექიმის'' პროგრამის განხორციელებაზე. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი ერთიანი მიდგომით დაიწყებს მუშაობას აბმულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობისათვის, რათა ქვეყანაში გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი. აღნიშნულ მიდგომას ასევე იზიარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორდში მდებარე 421.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 68.53 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, ს/კ 66.50.07.336.

გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორდში მდებარე 421 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 68.53 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, ს/კ 66.50.07.336, გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში (ამბულატორიის მოსაწყობად).

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე მუხლის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 19 ოქტომბრის N5/56858 წერილის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს, სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორდში მდებარე 421 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 68.53 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, ს/კ 66.50.07.336 (ამბულატორიის მოსაწყობად).
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე